„შეთანხმებულია”
„ვამტკიცებ”

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის უფროსი გიზო ჭელიძე

შპს „არომა“ (ს/კ245599990) დირექტორი მიწური აბულაძე

_____ _____

`-----` ----------` 2023წ „----„ ---------- 2023წ

ქ.თბილისში, დასახლება დიდ დიღომში, III და IV მიკრორაიონებს შორის,19000კვ.მ მიწის ფართობიდან (საკადასტრო კოდი 01.10.07.007/104) 14000 კვ.მ მიწის ფართობის აღდგენა-რეკულტივაციის

პროექტი



შემსრულებელი-გარემოსდაცვითი სპეციალისტი:
დავით მურადაშვილი
თბილისი 2023

№	სარჩევი	გვერდი
1	შესავალი, რეკულტივაციის პროექტში გამოყენებული ძირითად ტერმინთა განმარტებანი	1, 3
2	კანონმდებლობა და გამოყენებული ლიტერატურა	4
3	ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელზე	4
4	მოკლე მიმოხილვა დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ	5
5	პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხანგრძლივობა და ვადები	6
6	მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ადგილმდებარეობა	6
7	მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა (მ³)	6
8	ფართობი (ჰა), რომელზეც განხორციელდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა - GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები.	6
9	ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების (შენახვის) ადგილი - GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები.	7
10	დასაწყობების(შენახვის) მეთოდი:	7

11	ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სხვა დანიშნულებით გამოყენება	8
12	სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარების პერიოდი და მეთოდი (ტექნიკური და ბიოლოგიური)	8
13	ტექნიკური რეკულტივაცია	8
14	ბიოლოგიური რეკულტივაცია	9
15	აღდგენილი (რეკულტივირებული) ტერიტორიის ნიადაგის საფარის დაცვა და მართვა	10
16	სარეკულტივაციო სამუშაოების გეგმა/გრაფიკი	10
17	სარეკულტივაციო სამუშაოების შედეგები	11
18	დანართი	12

შესავალი

შპს „არომა“, ქ. თბილისში, დასახლება დიდ დიღომში, III და IV მიკრორაიონებს შორის, საკუთრებაში ფლობს 19000კვ.მ მიწის ფართობს (საკადასტრო კოდი 01.10.07.007/104), რომელიც ბუნებრივად საკმაოდ დაქანებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ფართობის ზოგიერთ ნაწილში ჰიფსომეტრიულ ნიშნულებს შორის სხვაობა მერყეობს 9 მეტრის ფარგლებში, საშუალოდ 4-4.5 მეტრი. ტერიტორიაზე ასევე ხვდება მშრალი ხევი(ხევის გარშემო პერიმეტრი დაკავებულია გზებითა და შენობა-ნაგებობებით), რომლის ძირში განთავსებულია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ე.წ. „წორწორას“ ხევის სანიაღვრე კოლექტორი სათვალთვალო ჭებით. სამუშაოების განხორციელების პროცესში სათვალთვალო ჭები ამოიწევა საპროექტო ნიშნულამდე. ტერიტორიაზე, შეაბამისი თანხმობის მიღების შემდეგ, ასევე განხორციელდება ფართობზე გამავალი გაზსადენის რეკონსტრუქცია.

ქანობის და ფართობის ჰიფსომეტრიულ ნიშნულებს შორის სხვაობის გამო, ტერიტორიის სრულყოფილი ათვისება ვერ ხერხდება. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, რათა ტერიტორია სრულყოფილად იქნას ათვისებული, შპს „არომა“–მ მიიღო გადაწყვეტილება, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ბუნებრივად ჩამოყალიბებული ქანობის და ჩავარდნილი ფართობის შევსება/მოსწორების თაობაზე, რისთვისაც შემუშავდა 19000კვ.მ მიწის ფართობიდან 14000კვ.მ მიწის ფართობის აღდგენა/რეკულტივაციის პროექტი, რომლითაც შემოთავაზებულია აღნიშნული მიწის ფართობის აღდგენა/რეკულტივაციის ტექნიკური და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები.

რეკულტივაციისთვის განსაზღვრული ფართობი, ნაწილობრივ დაკავებულია სარეველა ბალახებით. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნამდე, სარეკულტივაციო ტერიტორია გასუფთავდება სარეველა ბალახებისგან.

პროექტი მომზადებულია „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის მე–12 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად.

სარეკულტივაციო სამუშაოები იწარმოებს ამავე დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

1. რეკულტივაციის პროექტში გამოყენებული ძირითად ტერმინთა განმარტებანი

#	ტერმინი	განმარტება
1	ნიადაგი	დედამიწის ფხვიერი ზედა ნაწილი, რომელიც შექმნილია ქანების, კლიმატის, ბიოსფეროს, რელიეფის ხნოვანების და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ურთიერთქმედებით.
2	დეგრადირებული ნიადაგი	ნიადაგი, რომლის ბიოლოგიური თვისებები გაუარესებულია, ხოლო ეკონომიკური მაჩვენებლები დაცემულია სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად;
3	ნიადაგის ნაყოფიერი ფენა	ნიადაგის პროფილის ზედა ჰუმუსოვანი ნაწილი, რომელიც შეიცავს ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელ ქიმიურ, ფიზიკურ და აგროქიმიურ თვისებებს;
4	რეკულტივაცია	სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად დაზიანებული (დეგრადირებული) მიწების აღდგენა პირვანდელ ან/და მიახლოებულ პირვანდელ მდგომარეობამდე
5	მიწის ტექნიკური რეკულტივაცია	ნიადაგის რეკულტივაციის ეტაპი, რომელიც მოიცავს დარღვეული ზედაპირის მომზადებას ბიოლოგიური რეკულტივაციის განხორციელების მიზნით;
6	მიწის (ნიადაგის) რეკულტივაციის ბიოლოგიური ეტაპი (ბიოლოგიური რეკულტივაცია)	მიწის რეკულტივაციის ეტაპი, რომელიც ხორციელდება ტექნიკური რეკულტივაციის შემდეგ და მოიცავს აგროტექნიკურ, ფიტომელიორაციულ და კომპლექსურ ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია მიწის სამეურნეო პროდუქტიულობის აღსადგენად;
7	ინერტული ნარჩენები	ინერტული ნარჩენები – ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს, არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას

1.კანონმდებლობა და გამოყენებული ლიტერატურა

შპს „არომა“-ს მიერ 19000კვ.მ მიწის ფართობიდან 14000კვ.მ მიწის ფართობის აღდგენა/რეკულტივაციასთან დაკავშირებული სამუშაოები განხორციელდება საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და რეგლამენტების დაცვით, კერძოდ:

1. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (10.12.1996);

2. საქართველოს კანონი ,,ნიადაგის დაცვის შესახებ” (12.05.1994);

3. ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ (ტექნიკური რეგლამენტი, საქართველოს მთავრობის დადგენილება N 424, (31.12.2013);

4. ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" (25.12.2014 წ.)

5.ტექნიკური რეგლამენტი ,,ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“. (11.08.2015 წ.)

3. ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელზე

1	საქმიანობის განმახორციელებელი	შპს არომა ს/კ 245599990
2	დირექტორი	მინური აბულაძე
3	საინდეფიკაციო კოდი ან პირადი ნომერი	პ/ნ 61009000931
4	მისამართი	ქ. თბილისი, საბურთვალოს რაიონი, სარაჯიშვილის ქ., №1, ბ.75
5	ინფორმაცია საქმიანობის შესახებ	მშენებლობა
6	ტელეფონის ნომერი	577799944

4. მოკლე მიმოხილვა დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ

საპროექტო დოკუმენტაცია შეეხება შპს „არომა“-ს მიერ, ქ. თბილისში, დასახლება დიდ დიღომში, III და IV მიკრორაიონებს შორის, შპს „არომა“-ს საკუთრებაში არსებული 19000კვ.მ მიწის ფართობიდან (საკადასტრო კოდი 01.10.07.007/104), 14000კვ.მ მიწის ფართობის აღდგენა/რეკულტივაციას. ფართობი ბუნებრივად საკმაოდ დაქანებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ფართობის ზოგიერთ ნაწილში ჰიფსომეტრიულ ნიშნულებს შორის სხვაობა მერყეობს 9 მეტრის ფარგლებში, საშუალოდ 4-4.5 მეტრი. ტერიტორიაზე ასევე ხვდება მშრალი ხევი(ხევის გარშემო პერიმეტრი დაკავებულია გზებითა და შენობა-ნაგებობებით), რომლის ძირში განთავსებულია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ე.წ. „წორწორას“ ხევის სანიაღვრე კოლექტორი სათვალთვალო ჭებით. სამუშაოების განხორციელების პროცესში სათვალთვალო ჭები ამოიწევა საპროექტო ნიშნულამდე. ტერიტორიაზე, შეაბამისი თანხმობის მიღების შემდეგ, ასევე განხორციელდება ფართობზე გამავალი გაზსადენის რეკონსტრუქცია. ტერიტორია დაფარულია დაბალპროდიქტიული, დაახლოებით 8სმ სიმძლავრის დაქვიანებული ნიადაგის თხელი ფენით და სარეველა ბალახებით(ნაწილობრივ).

სარეკულტივაციო სამუშაოების დაწყებამდე, სარეკულტივაციო ფართობზე განხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დროებით, ამავე ფართობის ფარგლებში დასწყობება.

შემდგომ მოხდება სხვდასხვა ფრაქციის ინერტული ნარჩენების ტერიტორიაზე შემოზიდვა და ფართობის საპროექტო ნიშნულებამდე შევსება.

სარეკულტივაციო სამუშაოების დაწყებამდე, მოხდება ფართობზე დაყრილი მცირე მოცულობის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა. სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში, ნარჩენები, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, გატანილი იქნება სახიფათო ნარჩენების გაუვნებლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

პროექტი მომზადებულია „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის მე–12 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით და სარეკულტივაციო სამუშაოები იწარმოებს ამავე დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

სარეკულტივაციო ფართობზე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების (კოლექტორი, გაზი) რეკონსტრუქცია განხორციელდება შესაბამისი ნებართვების საფუძველზე.

5. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხანგრძლივობა და ვადები

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყება განსაზღვრულია პროექტის სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ, ხოლო საბოლოო ბიოლოგიური რეკულტივაცია დამთავრდება 2025 წლის 01 ივნისამდე.

6. მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ადგილმდებარეობა

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება ქ. თბილისში, დასახლება დიდ დიღომში, III და IV მიკრორაიონებს შორის, შპს „არომა“-ს საკუთრებაში არსებული 19000კვ.მ მიწის ფართობიდან (საკადასტრო კოდი 01.10.07.007/104), 14000კვ.მ მიწის ფართობზე.

7. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა ($მ^3$)

სარეკულტივაციო სამუშაოების დაწყებამდე, სარეკულტივაციო ფართობზე განხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დროებით, ამავე ფართობის ფარგლებში დასწყობება.

მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა შეადგენს დაახლოებთ 1120$მ^3$-ს.

8. ფართობი რომელზეც განხორციელდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა - GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დროს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება 14000$მ^2$ მიწის ფართობზე.

სარეკულტივაციო ფართობის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატებია:

სარეკულტივაციო ფართობი		
N	X	Y
1	478477	4626716
2	478476	4626735
3	478556	4626719
4	478559	4626734
5	478696	4626707
6	478697	4626675
7	478754	4626676
8	478757	4626649
9	478735	4626589
10	478635	4626631
11	478651	4626668

ფართობი 14000მ^2

9. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების (შენახვის) ადგილი - GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები.

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დროებით დასაწყობება განხორციელდება სარეკულტივაციო ფართობის კიდეზე, პროექტის მე-8 თავში მითითებულ მე-2 (X-478476; Y-4626735) და მე-3 (X-478556; Y-4626719) კოორდინატებს შორის.

10. დასაწყობების (შენახვის) მეთოდი:

დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ნაყარის სიმაღლე საშუალოდ ინება 2.0-2.5 მეტრი. ნაყარის ფერდის დახრილობის კუთხე 45 გრადუსი. მკაცრად იქნება დაცული ნაყარის საზღვრები დაზიანებისა და დატკეპვნის პრევენციისათვის. ყრილები რელიეფურად ისე განთავსდება, რომ უხვი ნალექის შემთხვევაში არ მოხდება მისი წარეცხვა. საჭიროების შემთხვევაში გაკეთდება დამცავი ბერმები. ვინაიდან სარეკულტივაციო სამუშაოები დაიწყება პროექტის შეთანხმებისთანავე, დასაწყობებასთან დაკავშირებით, სხვა რაიმე სახის დამატებითი ღონისძიებების გატარება არ არის დაგეგმილი.

11. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სხვა დანიშნულებით გამოყენება

დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ იქნება გამოყენებული სხვა მიზნებისათვის, გარდა აღდგენითი სამუშაოებისა.

12. სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარების პერიოდი და მეთოდი (ტექნიკური და ბიოლოგიური)

სარეკულტივაციო სამუშაოები დაიწყება პროექტის შეთანხმებისთანავე და დასრულდება 2025 წლის 01 ივნისამდე.

ტერიტორიის რეკულტივაციის სამუშაოები მოიცავს ორ ეტაპს:

1. ტექნიკურ რეკულტივაციას
2. ბიოლოგიურ რეკულტივაციას

13. ტექნიკური რეკულტივაცია

ტექნიკური რეკულტივაციის მიზანია ფართობის შევსება/მოსწორება, ფართობის სტაბილიზაცია და არსებულ ლანდშაფტურ ელემენტებთან შეხამება.

ტექნიკური რეკულტივაციით გათვალისწინებული სამუშაოებია:

1.ფართობზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება;
2.სარეკულტივაციო ფართობის ინერტული ნარჩენებით შევსება იმ დონეზე, რომ შევსებული ფართობი ჰორიზონტალურად გასწორდეს და შეესაბამებოდეს მიმდებარე ტერიტორიების ჰიფსომეტრულ მონაცემებს;
3.ფართობზე შეტანილი ინერტული ნარჩენების მოსწორება და მოტკეპნა;
4. მთლიანი ფართობისთვის ერთიანი რელიეფის ფორმის მიცემა.
5.ფართობის ინერტული ნარჩენებით შევსების პარალელურად მოხდება სათვალთვალო ჭების ამოწევა საპროექტო ნიშნულამდე;
6. ტექნიკური რეკულტივაციის დაწყებამდე, შეაბამისი თანხმობის მიღების შემდეგ, ასევე განხორციელდება ფართობზე გამავალი გაზსადენის რეკონსტრუქცია.

,,ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს 21-ე მუხლი განსაზღვრავს ინერტული ნარჩენების გამოყენების წესს ამოვსების ოპერაციებისთვის და სამშენებლო მიზნებისთვის. ასევე,

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“. აღნიშნული რეგლამენტის მე-3 მუხლი უშვებს შესაძლებლობას ინერტული ნარჩენები განთავსდეს ინერტული ნაგავსაყრელის გარეთ, თუ ეს ქმედება დაკავშირებულია რელიეფის აღდგენასთან და ამოვსების სამუშაოებთან.

სარეკულტივაციო ტერიტორიის მოსწორებისთვის, მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, ფართობი შეივსება შემოზიდული 56000მ³ მოცულობის ინერტული ნარჩენებით, ძირითადად სხვადასხვა ფრაქციის ნაშალი კლდოვანი მასით, სამშენებლო ნარჩენებით და გრუნტით. ისეთი ნარჩენები, რომელიც შესაბამისობაში იქნება ,,ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტთან. 56000მ³ მოცულობის ინერტული ნარჩენი ისე გადანაწილდება მთელ ტერიტორიაზე, რომ მოხდეს მთლიანი ფართობის ჰორიზონტალურ სიბრტყესთან მიახლოებულ მდგომარეობაში გადაყვანა.

ფართობი, მძიმე ტექნიკის გამოყენებით დაიტკეპნება და მას მიეცემა უმნიშვნელო დახრის კუთხე, რათა, უხვი ნალექის შემთხვევაში არ მოხდეს წყლის ზედაპირული დაგროვება.

ფართობზე სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარების პერიოდში, შპს „არომა“ მკაცრად დაიცავს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებს. კერძოდ, ტექნიკური რეკულტივაციის ეტაპზე, ინერტული ნარჩენების შეტანისას კომპანია დააწესებს მონიტორინგს, რათა საპროექტო ტერიტორიაზე არ მოხვდეს სხვა სახის ნარჩენები.

14. ბიოლოგიური რეკულტივაცია

ბიოლოგიური რეკულტივაციის მიზანი:

1. ნიადაგის საფარის პირვანდელ ან მიახლოებით პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა;
2. მცენარეული საფარის აღდგენა;
3. ლანდშაფტის ვიზუალურ-ესთეტიკური მხარის გაუმჯობესება.

ტექნიკური რეკულტივაციის დამთავრებისთანავე დაიწყება აღდგენის მეორე, ბიოლოგიური ეტაპი. ფართობის პროფილის ჩამოყალიბების და დასტაბილურების შემდეგ განხორციელდება დასაწყობებული 1120მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი

ფენის მთელ ფართობზე განაწილება – გაშლა დაახლოებით 5-6 სმ სისქეზე და შემდეგ გაფხვიერება.

აღდგენილ ტერიტორიაზე დაითესება ბალახის თესლი და მცენარეული საფარის განვითარების დაჩქარების მიზნით, შეტანილი იქნება აზოტიანი სასუქი.

ბიოლოგიური რეკულტივაციის ბოლო ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, შესაძლებელია შემოზიდული იქნეს მცირე მოცულობის დაუბინძურებელი მიწა, რომელიც შემოტანილი იქნება სხვადასხვა სამშენებლო მოედნიდან, სადაც კანონმდებლობით დადგენილი წესით აუცილებელია სუფთა მიწის და მათ შორის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. შემოტანის შემთხვევაში მოხდება მიწის ბიოლოგიური გამდიდრება.

ფართობზე ტექნიკური რეკულტივაციის დასრულების შემდგომ, შპს „არომა“-ს მიერ ინფრასტრუქტურული ან სხვა რაიმე პროექტის განხორციელების შემთხვევაში(მაგ: საცხოვრებელი კომპლესი), შეიძლება აღარ განხორციელდეს ბიოლოგიური რეკულტივაცია და დასწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, გამოყენებული იქნეს ტერიტორიის გამწვანების სამუშაოებისათვის. ასეთის არსებობის შემთხვევაში წინასწარ ეცნობება სამნისტროს.

15. აღდგენილი (რეკულტივირებული) ტერიტორიის ნიადაგის საფარის დაცვა და მართვა

სარეკულტივაციო სამუშაოები ჩატარდება ნიადაგის ბიოლოგიური რეკულტივაციის ღონისძიებების სრული ციკლის და მცენარეთა სავეგეტაციო პერიოდის გათვალისწინებით.
აღდგენილი ფართობს მონიტორინგი (მოვლა) უზრუნველყოფილი იქნება შპს „არომა“–ს მიერ.

16. სარეკულტივაციო სამუშაოების გეგმა/გრაფიკი

სარეკულტივაციო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია პროექტის შეთანხმების შემდგომ, ხოლო დასრულება 2025 წლის 01 ივნისს. სამუშაოთა წარმოების გრაფიკი მოცემული ცხრილში №1-ში.

ცხრილი №1

№	სამუშაოთა აღწერა	პერიოდი
1	ინერტული მასალის შეტანა ფართობზე შეტანა, გაშლა, მოსწორება და მძიმე ტექნიკით დატკეპნა.	პროექტის შეთანხმების თანავე-01.04.2025-მდე
2	ბიოლოგიური რეკულტივაცია - საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის გაშლა, მოსწორება, გაფხვიერება და ბალახის დათესვა	01.04.2025- 01.06.2025-მდე

*** მეტეროლოგიური და სხვა ობიექტური პირობებიდან გამომდინარე სამუშაოთა წარმოების გრაფიკში შესაძლებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარი თანხმობის შემთხვევაში შევიდეს ცვლილება.

17. სარეკულტივაციო სამუშაოების შედეგები

წარმოდგენილი პროექტის მიზანია, ქ. თბილისში, დასახლება დიდ დიღომში, III და IV მიკრორაიონებს შორის, შპს „არომა“-ს საკუთრებაში არსებულ 19000კვ.მ (საკადასტრო კოდი 01.10.07.007/104), მიწის ფართობზე ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა. სარეკულტივაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ მივიღებთ ტექნიკურად და ბიოლოგიურად აღდგენილ მიწის ფართობს, რომელიც შერწყმული იქნება ადგილობრივ ლანდშაფტთან.

დანართები

დაბნართი N1 - სარეკულტივაციო ფართობის GPS კორდინატები

N	X	Y
1	478477	4626716
2	478476	4626735
3	478556	4626719
4	478559	4626734
5	478696	4626707
6	478697	4626675
7	478754	4626676
8	478757	4626649
9	478735	4626589
10	478635	4626631
11	478651	4626668

დანართი N2 - ს/კ 01.10.07.007/104 მიწის ფართობის ტოპო გეგმა



დაინტერესებული პირი:

მისამართი: თბილისი, დიდი დიღმის დასახლება III და IV მიკრო-რაიონებს შორის

პირობითი ნიშნები

ი/მ. ემზარი გეგელია ტელ: 599 53 71 65

დირექტორი ე.გეგელია

შეასრულა ე.გეგელია

მ. 1:500

გაიცა: 23.03.2022წ.

„წორწორასხევი"-ის სანიაღვრე კოლექტორის მდებარეობა და მისი დაცვის ზონები



დაინტერესებული პირი:	მისამართი: თბილისი, დიდი დიღმის დასახლება III და IV მიკრო-რაიონებს შორის
პირობითი ნიშნები	ი/მ. ემზარი ბებელია ტელ: 599 53 71 65
დირექტორი	ე.ბებელია
შეასრულა	ე.ბებელია
მ. 1:500	თარიღი: 23.03.2022წ.


1:1,300
D=75pe
D=40pe
D=50pe
01.10.07.007.104
პირობითი აღნიშვნები
გეემპე
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი

დაბნართი N3 - სარეკულტივაციო ფართობის ტოპო და ორთო რუქა




478450
478500
478550
478600
478650
478700
478750
4626900
4626850
4626800
4626750
4626700
4626650
4626600
4626550
4626500
4626450
N
სარეკულტივაციო ფართობი

დაბნართი N4 - შპს თბილსერვის ჯგუფის წერილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

შპს თბილსერვის ჯგუფი

TBILISI MUNICIPALITY CITY HALL

TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: 62-01221742062
თარიღი: 23/06/2022

მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სარაჯიშვილის ქ., №1, ბ.75
საიდენტიფიკაციო ნომერი: 245599990
ადრესატი: შპს არომა

ბატონო მინური,
შპს „თბილსერვის ჯგუფში" 2022 წლის 17 ივნისს შემოსული თქვენი #10/0122168263-62 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი ქ. თბილისი, დიდი დიღმის დასახლება III და IV მიკრო რაიონებს შორის არსებული მიწის ნაკეთი ს/კ 01.10.07.007.104. გაირკვა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ნამდვილად გადის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ე.წ „ნორწორას" ხევის მოქმედი სანიაღვრე კოლექტორიდა დრენაჟი.
აღნიშნული სანიაღვრე კოლექტორიდან საპროექტო შენობა-ნაგებობამდე დაცილება უნდა იყოს არა ნაკლებ 10 (ათი) მეტრისა, ხოლო ტერიტორიაზე არსებული სათვალთვალო ჭები უნდა ამოიწიოს საპროექტო ნიშნულამდე.

ზაზა ბერიშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტი-დეპარტამენტის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

დაბნართი N5 – თბილისი ენერჯის წერილები

თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617 +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№01-01-20216-23
29 / 03 2023

შპს „არომა“-ს დირექტორს
ბატონ მინური აბულამეს

ბატონო მინური,

თქვენი მიმდინარე წლის 21 მარტის №01-01-20216-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, III და IV მიკრო-რაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.10.07.007.104) მდებარე გაზსადენის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „თბილისი ენერჯის“ მიერ დადგინდა საპროექტო ღირებულება, რომელიც შეადგენს 1500 (ათასხუთასი) ლარს. სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, შპს „თბილისი ენერჯი“ ქსელის გადალაგების სამუშაოებს ასრულებს მიწის ქვეშ და შესაბამისად მილსადენი უნდა განთავსდეს მიწაში.

თქვენს მიერ საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების სრულად ანაზღაურების, ხელშეკრულების გაფორმების და საჭიროებისამებრ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან თქვენი მხრიდან სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელი ნებართვების მოპოვების შემთხვევაში, კომპანია მზად არის განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები.

ხელშეკრულების გასაფორმებლად ეწვიეთ კომპანიის ვებ-გვერდს www.te.ge, შევსებული ფორმა გადმოაგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე public@te.ge. შეთავაზება ძალაშია 3 (სამი) თვე.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

IOS QR Android QR

თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617 +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 01-01-20216-23
29 / 03 20 23

შპს ,,არომა"-ს დირექტორს
ბატონ მინური აბულაძეს

ბატონო მინური,

თქვენი მიმდინარე წლის 21 მარტის №01-01-20216-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, III და IV მიკრო-რაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.10.07.007.104) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსისა და მიწის რეკულტივაციის პროექტთან დაკავშირებით პოზიციას გაცნობებთ, რომ კომპანია თანახმაა აწარმოოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები და განახორციელოთ მიწის რეკულტივაციის პროექტი შემდეგი პირობის გათვალისწინებით:

- 3 (სამი) თვის ვადაში უნდა მოხდეს ნაკვეთზე არსებული გაზსადენის გადალაგება.

საჭიროებისამებრ, გენგეგმის დასამოწმებლად უნდა წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის დეტალური PDF-ვერსია 1:500 მასშტაბით, სადაც დატანილი იქნება პირობითი აღნიშვნები, შემსრულებლის ხელმოწერა და ბეჭედი. ასევე, კომპანიის გაზსადენი უსაფრთხოების ზონების დაცვის გათვალისწინებით.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზსადენის განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

IOS QR Android QR